

სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის არჩევნები

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
საარჩევნო კომისიის

შემაჯამებელი ოქმი

არჩევნები დაიწყო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის საბჭოების სხდომათა დარბაზში. საარჩევნო სიები და კენჭისყრის კაბინა განთავსდა უნივერსიტეტის შინაგანაწესის მე-2 თავის მოთხოვნების დაცვით.

საარჩევნო უბანი გაიხსნა 12⁵⁵ საათზე, კენჭისყრამდე დაილუქა საარჩევნო ყუთი.

კენჭისყრის დაწყებისთანავე გაიხსნა საარჩევნო ყუთის ლუქი, შედგა შესაბამისი ოქმი და ყუთში მოთავსდა პირველი ამომრჩევლის ბიულეტენი საკონტროლო ფურცელთან ერთად.

კენჭისყრა დაიწყო 13⁰⁰ საათზე.

კენჭისყრა მიმდინარეობდა დადგენილი მოთხოვნების დაცვით. რაიმე ინციდენტს ადგილი არ ჰქონია. არ შემდგარა დარღვევის ოქმი.

კენჭისყრა დასრულდა 14⁰⁰ საათზე. ბიულეტენები დათვლილი იქნა დადგენილი წესით. ბიულეტენების დათვლის საფუძველზე დადგინდა შემდეგი მონაცემები:

1. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის არჩევნებისათვის საბჭოს წევრთა სიაში რეგისტრირებული 31 პირიდან, სარეგისტრაციო ჟურნალის მიხედვით რეგისტრაცია გაიარა და ხმა მისცა 30 (ოცდაათი) პირმა, რაც შეადგენს სიითი რაოდენობის 97 (ოთხმოცდაჩვიდმეტი) %-ს.

ბიულეტენების დათვლის საფუძველზე საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის არჩევნებში მონაწილე კანდიდატზე ხმების რაოდენობა გადანაწილდა შემდეგი სახით:

ირაკლი მჭედლიშვილი – 30 (ოცდაათი) ხმა -
97 (ოთხმოცდაჩვიდმეტი) %.


ბათილად იქნა ცნობილი 0 (ნული) ბიულეტენი.

მიღებული მონაცემების საფუძველზე თსსუ-ის საარჩევნო კომისია ადგენს:

1. ჩატარებულად ჩაითვალოს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის არჩევნები და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე დეკანის თანამდებობაზე უფლებამოსილების ოთხი წლის ვადით, 2020 წლის 15 ივლისის ჩათვლით არჩეულად იქნას ცნობილი:

1. ირაკლი მჭედლიშვილი

3. დადგენილი წესით დაილუქოს 2016 წლის 15 ივლისის სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის არჩევნებისათვის განკუთვნილი საარჩევნო დოკუმენტაცია. გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენების უტილიზაცია განხორციელდეს შესაბამისი აქტის საფუძველზე.

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე  ნ. ყურაშვილი

კომისიის წევრები:



ვ. მიქაშავიძე



მ. ივანიაძე



ა. ბუაჩიძე